ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 48 56
31/08/2020

56-48-4-202008311003

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით საარჩევნო სუბიექტებზე შენობა-ნაგებობების უსასყიდლოდ გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმრათველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა:

მუხლი 1.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო სუბიექტების ღონისძიებების გამართვის მიზნით, უსასყიდლოდ გამოიყოს, ტყიბულის კულტურის ცენტრის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №5) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, თაყაიშვილის ქუჩა №3).

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს თემურ ძაგნიძეს.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონდებლობის შესაბამისად.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო